№ 28 7 მარტი, პარასკევი 1866—1875 7 მარტი, პარასკევი № 28

რედაქცია

მოლნინის (ᲐᲑᲐᲡ-ᲐᲑᲐᲢᲘᲡ) მაედანზე, ᲣᲝᲠᲚᲐᲜᲝᲕᲘᲡ სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ—ᲔᲠᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ.

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲒᲐᲛᲝᲬᲓᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲐᲝᲑᲘᲗ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲝᲑᲘᲗ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგიულს ენებზე.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ

ᲓᲘᲓᲘ ᲐᲡᲝᲔᲑᲘᲗ, ᲐᲡᲝᲖᲔ — 1 ᲙᲐᲞ., ᲐᲡᲝ-ᲛᲗᲐᲕᲠᲣᲚᲘᲗ, ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲖᲔ—8 ᲙᲐᲞ., ᲪᲘᲪᲔᲠᲝᲗᲘ, ᲡᲢᲠᲘᲥ. — 5 ᲙᲐᲞ., ᲞᲔᲢᲘᲢᲘᲗ — 4 ᲙᲐᲞ.

ᲗᲣ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲐᲛᲝᲙᲚᲔᲑᲡ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚ ᲡᲢᲐᲢᲘᲔᲑᲡᲐ.

ᲓᲐᲣᲑᲔᲭᲓᲚᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲕᲘᲜ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲝᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲨᲙᲝᲚᲐ?

— ᲐᲮᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲐ! ᲛᲔᲢᲧᲕᲘᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ.—ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲨᲙᲝᲚᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲬᲧᲐᲠᲝᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚ-ᲓᲦᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲬᲔᲕᲜᲔᲚᲐᲓ, ᲛᲐᲨᲐᲡᲐᲓᲐᲛᲔ ᲨᲙᲝᲚᲐᲪ ᲘᲛᲐᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲝᲡ, ᲘᲡᲐᲪ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚ-ᲓᲦᲔᲝᲑᲐᲖᲔ ᲛᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡᲝ, ᲔᲡᲔ ᲘᲒᲘ ᲛᲛᲐᲠᲗᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ.

ᲑᲔᲯᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲐ. ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ, ᲩᲕᲔᲜ ᲔᲮᲔᲓᲐᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲨᲙᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲛᲛᲐᲠᲗᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡᲔᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲗᲥᲕᲐᲗ, ᲠᲝᲛ. ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲣᲚ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ ᲛᲛᲐᲠᲗᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲨᲙᲝᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲗ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲖᲝ�გᲐᲜ ᲘᲛᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓᲡᲐᲪ ᲐᲠ ᲖᲠᲣᲜᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲐᲠ ᲮᲐᲠᲯᲐᲕᲡ, ᲠᲛᲓᲔᲜᲘᲡᲐᲪ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲑᲐ ᲖᲠᲣᲜᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲮᲐᲠᲯᲐᲕᲡ.

ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ ᲔᲠᲝᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲮᲚᲐ ᲮᲐᲚᲮᲨᲘ ᲬᲔᲠᲐ - ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ. ᲒᲐᲓᲐᲐᲕᲚᲔᲗ ᲗᲕᲐᲚᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚ-ᲒᲐᲡᲐᲕᲐᲚᲡ ᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲜᲐᲮᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲘᲡ ᲔᲠᲝᲑᲐ ᲬᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲡᲐᲛᲔ ᲐᲗᲘ ᲐᲗᲐᲡᲡ ᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲮᲐᲠᲯᲐᲕᲡ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲐᲮᲚᲐ ᲩᲕᲔᲜᲙᲔᲜ ᲠᲝᲛ ᲛᲝᲕᲘᲑᲠᲣᲜᲝᲗ ᲞᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲗᲐᲕᲡ ᲕᲙᲘᲗᲮᲝᲗ: ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲡ ᲔᲮᲐᲠᲯᲐᲕᲗ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲨᲙᲝᲚᲐ ᲒᲐᲣᲮᲡᲜᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ? — ᲠᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲔᲚᲝᲓᲔᲗ?

ᲐᲘ, ᲠᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ: ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲐᲠᲪᲔᲠᲗᲘ ᲐᲠᲐᲛᲪ ᲗᲣ ᲨᲙᲝᲚᲐ, ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ ᲠᲐᲛ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲓ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲥᲝᲜᲔ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ!

ᲛᲗᲔᲚᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ, ᲛᲒᲝᲜᲘᲐ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲗᲣ ᲝᲠᲘ ᲨᲙᲝᲚᲐᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲔᲬᲔᲠᲔᲑᲝᲓᲔᲡ. ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲡᲣᲚ ᲛᲛᲐᲠᲗᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲔᲬᲔᲠᲔᲑᲝᲓᲔᲡ...

„ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ“ ᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲗ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲑᲐᲢᲝᲜᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚ - ᲡᲘᲜᲘᲓᲘᲡᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲡ ᲣᲠᲩᲘᲔᲡ ᲘᲛᲐᲗ ᲓᲐᲐᲜᲓᲠᲝᲜ ᲨᲙᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲪᲔᲜ ᲨᲙᲝᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲠᲝᲑᲐᲗ.

ᲑᲐᲠᲔᲛ ᲓᲐᲘᲜᲓᲠᲝᲑᲘᲐᲜ, ᲓᲘᲓᲘᲡ ᲡᲘᲐᲛᲝᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲐᲜᲓᲠᲝᲑᲔᲜ ᲩᲔᲜᲘ ᲡᲝᲤᲚᲔᲚᲔᲑᲘ, ᲕᲘᲜᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ, ᲨᲙᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲡᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲘᲩᲕᲔᲜᲔᲗ: ᲕᲘᲡ ᲛᲘᲔᲜᲓᲠᲝᲜ, ᲕᲘᲡ ᲓᲐᲣᲗᲛᲝᲜ ᲨᲙᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐ? ᲙᲐᲪᲡ ᲔᲒᲝᲜᲔᲑᲐ, ᲛᲐᲠᲗᲚᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲒᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲕᲚᲘᲜᲘ ᲛᲣᲮᲚᲔᲑᲖᲔ ᲔᲮᲕᲔᲕᲘᲐᲜ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘ: ᲐᲠᲐ ᲛᲔ ᲛᲝᲛᲜᲓᲔ, ᲐᲠᲐ ᲛᲔᲝ,—ᲓᲐ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲘᲛᲐᲗ ᲐᲠ ᲔᲜᲓᲠᲝᲑᲘᲐᲜ!

ᲨᲔᲓᲔᲣᲠᲔᲑᲐᲪ ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲗ ᲛᲝᲘᲫᲔᲑᲜᲔᲑᲐ ᲔᲡᲠᲔᲓ ᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛ ᲒᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲯᲔᲠ-ᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲘᲛᲐᲡ ᲔᲠᲗᲮᲔᲚᲐᲪ ᲐᲠ ᲒᲐᲜᲣᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲐ.

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ; ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲡᲔ ᲕᲐᲛᲑᲝᲑᲗ: „ᲜᲔᲢᲐᲕᲘ ᲛᲔ ᲐᲠᲐ ᲓᲐᲛᲐᲙᲚᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲠᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲓᲘ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲥᲕᲡ“!...

ᲓᲐ ᲐᲡᲔ ᲕᲐᲛᲑᲝᲑᲗ ᲘᲛ ᲓᲠᲝᲡ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲐᲡᲔ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲐ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲔᲑᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲓᲔᲗ, ᲠᲝᲛ, ᲗᲣ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐ, ᲘᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲕᲐᲠᲗ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲜᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘᲐ....

Ს. ᲛᲔᲡᲮᲘ

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

☐ ᲩᲕᲔᲜ ᲨᲔᲕᲘᲢᲧᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲢᲧᲣᲐᲠᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲘᲧᲠᲣᲔᲑᲣᲚᲡ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲘᲐᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲗᲣᲠᲛᲔ, ᲐᲢᲧᲣᲔᲑᲔᲜ ᲮᲐᲚᲮᲡ, ᲠᲝᲛ ᲫᲕᲔᲚᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲡ (ᲐᲡᲘᲒᲜᲐᲪᲘᲔᲑᲡ) ᲐᲮᲚᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲘᲦᲔᲑᲔᲜᲝ ᲓᲐ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ ᲤᲐᲡᲐᲓ ᲰᲧᲘᲓᲣᲚᲝᲑᲔᲜ.

ᲐᲛᲘᲡ �გᲐᲛᲝ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲙᲘᲓᲔᲔ ᲕᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ, ᲛᲛᲐᲠᲗᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲘᲗ, ᲫᲕᲔᲚᲘ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘᲡ (ᲐᲡᲘᲒᲜᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ) ᲐᲮᲚᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲘᲦᲔᲑᲔᲜᲝ ᲓᲐ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ ᲤᲐᲡᲐᲓ ᲰᲧᲘᲓᲣᲚᲝᲑᲔᲜ.

☐ ᲨᲝᲠᲐᲞᲜᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲓᲐᲛ ᲒᲕᲬᲔᲠᲔᲜ, ᲠᲝᲛ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲐᲛ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲮᲐᲜᲔᲑᲨᲘ ᲐᲥ ᲥᲣᲠᲓᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲒᲐᲖᲐᲙᲝᲑᲐ ᲒᲐᲮᲨᲘᲠᲓᲐ, ᲐᲛᲘᲡ �გᲐᲛᲝ ᲣᲔᲖᲓᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲛᲐ ᲒᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲪᲐ, ᲠᲝᲛ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲯᲔᲠ-ᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲐᲠᲐᲣᲚᲝᲑᲓᲔᲡᲝ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲛ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲥᲣᲠᲓᲝᲑᲐ ᲔᲠᲗ ᲛᲝᲡᲠᲣᲚᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲓᲦᲘᲡᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲥᲐᲜᲪᲣᲚᲘ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘ ᲮᲔᲘᲠᲘᲐᲜᲐᲗ ᲓᲐ ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐᲓ ᲧᲐᲠᲐᲣᲚᲝᲑᲐᲡ ᲦᲐᲛᲔ ᲔᲠ ᲐᲮᲔᲠᲮᲔᲑᲔᲜᲝ.

☐ ᲗᲣᲛᲪᲐ ᲠᲐᲭᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲜᲐᲜᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲘᲞᲝᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ; ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲩᲐᲜᲡ, ᲙᲐᲠᲒᲐᲗ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲣᲙᲛᲐ-ᲞᲣᲠᲘᲡ ᲛᲝᲞᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ-ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲜᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲡᲐᲙᲛᲐᲝ: „ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ“ ᲘᲬᲔᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ: ᲕᲘᲡ ᲛᲘᲔᲜᲓᲠᲝᲜ, ᲕᲘᲡ ᲓᲐᲣᲗᲛᲝᲜ ᲨᲙᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐ? ᲙᲐᲪᲡ ᲔᲒᲝᲜᲔᲑᲐ, ᲛᲐᲠᲗᲚᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲒᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲯᲔᲠ-ᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲐᲠᲐᲣᲚᲝᲑᲓᲔᲡᲝ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲛ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲥᲣᲠᲓᲝᲑᲐ ᲔᲠ ᲛᲝᲡᲠᲣᲚᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲔᲛᲘ ᲓᲐ 6 ᲛᲐᲠᲢᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲔᲡᲝ.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲙᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲬᲔᲚᲡ ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲗᲐᲛᲐᲠᲘ: ᲣᲪᲮᲝ-ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲨᲘ ᲘᲬᲔᲠᲔᲑᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ, ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ, ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ, ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲒᲐᲜ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲡᲘᲪᲘᲕᲔᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲬᲔᲚᲡᲐᲝ, ᲠᲝᲛ ᲑᲔᲕᲠ ᲐᲚᲐᲒᲐᲡ ᲒᲖᲔᲑᲘ ᲨᲔᲘᲙᲠᲐᲝ, ᲛᲝᲮᲣᲪᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲐᲮᲡᲝᲕᲗ ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲧᲘᲜᲕᲐᲝ, ᲑᲔᲕᲠᲘ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲖᲦᲕᲐ ᲒᲐᲧᲘᲜᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲦᲔᲛᲓᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲧᲘᲜᲣᲚᲐᲝ...

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲚᲐᲥᲨᲘ ᲙᲘ ᲗᲣᲛᲪᲐ ᲥᲐᲠᲘ ᲰᲥᲠᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲝᲠᲘ ᲓᲦᲔᲐ, ᲪᲝᲢᲐ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ, ᲓᲐᲗᲑᲐ...

☐ ᲘᲛ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲡᲢᲐᲢᲘᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ «ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ» № ᲛᲔ-21-ᲨᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ, ᲩᲕᲔᲜ ᲛᲝᲒᲒᲘᲕᲘᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲣᲤ. Ი. ᲐᲚᲮᲐᲖᲝᲕᲘᲡᲐᲒᲐᲜ:

„ᲣᲤ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲝ!“ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲡᲬᲔᲠᲗ ᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲘᲡᲮᲔᲜᲘᲔᲑᲗ: „ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲗᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲜᲐᲧᲝᲤᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲕᲔᲚᲝᲓᲔᲗ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲓᲔᲓᲚᲛᲐᲛᲘᲡᲐ�გᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲘᲡ ᲬᲐᲛᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲑᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲐᲜ ᲤᲣᲚᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲨᲔᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲐᲜᲝ?“

„ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲖᲝᲒᲘᲪ ᲐᲥ ᲜᲐᲮᲔᲗ, ᲐᲛ ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲣᲔᲖᲓᲘᲡ ᲛᲮᲪᲝᲕᲠᲔᲑᲜᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲓᲐᲑᲘᲝ ᲮᲐᲚᲮᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲤᲣᲚᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲖᲔᲓ ᲙᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲣᲠᲐᲗᲡ:

„ᲠᲐ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘᲐᲪ ᲨᲔᲘᲜᲘᲨᲜᲔᲑᲐ ᲥᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲐᲓᲠᲔ ᲗᲣ ᲠᲘᲒᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲛᲔᲪᲐᲐ, ᲠᲐᲛᲬᲐᲕᲡ ᲨᲔᲘᲢᲧᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲨᲣᲐᲛᲐᲕᲚᲔᲑᲘ ᲬᲐᲡᲣᲚᲐᲜ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲨᲣᲐᲛᲐᲕᲚᲔᲑᲘᲪ ᲒᲐᲡᲬᲔᲕᲔᲜ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲨᲘᲜᲯᲐᲗ ᲓᲐ ᲮᲐᲜᲓᲘᲡᲮᲐᲜ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲯᲘᲑᲠᲖᲧᲔᲓ ᲝᲠᲛᲝᲪ-ᲡᲐᲛᲝᲪ ᲗᲣᲛᲜᲐᲛᲓᲔ ᲐᲓᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲥᲐᲚᲘ ᲘᲛᲐᲡ ᲠᲩᲔᲑᲐ, ᲕᲘᲡᲘ ᲤᲣᲚᲘᲪ ᲒᲐᲓᲐᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲡ....

„ᲐᲛ ᲤᲣᲚᲘᲓᲒᲐᲜ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲪᲘᲠᲔᲓ ᲠᲐᲡᲛᲔ ᲛᲖᲘᲗᲔᲕᲔᲨᲘ ᲛᲝᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲜ ᲥᲐᲚᲡ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲐ ᲔᲡ ᲤᲣᲚᲘ ᲡᲣᲚ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲡ ᲠᲩᲔᲑᲐ. ᲥᲐᲚᲡ ᲐᲡᲔ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘᲗ ᲰᲧᲘᲓᲘᲐᲜ, ᲓᲐ ᲐᲠᲪᲙᲘ ᲘᲪᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲠᲝ ᲔᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲔᲘᲜ ᲐᲠᲐ, ᲙᲝᲭᲚᲘᲐ ᲗᲣ ᲑᲠᲛᲐᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲡᲐᲥᲠᲛᲝᲡ ᲔᲘᲓᲠᲔ ᲯᲔᲠ

„ზვერის წერა რო მოატ ნს, მაშინ ქალს მოუყვანენ საქრმოს და აჩვენებენ: აი ეს არის შენი ცოლიო!

„მაშა სადამე ვიტყვი: მადლობა ღმერთს, რომ ჩვენში ასე მაინც არ იციან!. .“

„დროების“ კორრესპონდენცია

—

რაჭიდამ, თებერვლის 28-ს

რაჭის კეთილშობილთ საზოგადოებაში დიდი ხანია დაარსებულია ისრეთი ჩვეულება, რომ გასათხოვარს ქალს, რაც უნდა მშვენიერი იყოს, კაცი ხელს არ ჰკიდებს, თუ როდენიმე ფული არა აქვს მზითვად. ხშირად მომხდარა, რომ სასიძოს აღრჩეული და შეყვარებული სარძლო დაუტოვებია ერთის მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ სარძლოს მონათესავეთა არ მიუციათ ამ უკანასკნელისათვის ფული მზითვად.

ძალიან აწუხებს ღარიბ აზნაურობას ეს ჩვეულება; ბევრი ლამაზი ქალი ბერდება მშობლების ოჯახში. დალოცვილი სასიძოები არ აქცევენ ყურადღებას იმ გარემოებას, რომ გასათხოვარი ქალი სრულიად არ არის დანაშაული იმაში, რომ მისი ნათესავები ღარიბები არიან.

ჩვენებური გასათხოვარი ქალები, ამ უკანასკნელს დროიდან, შენატროდენ იმ სარძლოებს, რომელთაც ძმა არ ჰყავდათ; ახლა კი არც ამ უკანასკნელთ მოსდისთ კარგი საქმე. აქამომდე ვინ აქცევდა ყურადღებას მამულის მემკვიდრე ქალის თვალტანადობას და გონიერებას. ოღონდ მამულის მემკვიდრე ყოფილიყო და არც კი ჰკითხავდენ მშობლებს გათხოვებას; ხშირად იტაცებდნენ კიდეც ამ გვარ ქალებს შეძლებული და თავმომწონე ახალგაზდა თავადები.

მე ესთქვი, ახლა არც მამულის მემკვიდრე ქალებს მოსდისთ კარგი საქმეო. აი, რამ მათქმევინა ეს: ჩვენებური ქვრივი ქალი, რომელიც კი იფიქრებს გათხოვებას, ისრეთს საქმრო ქვრივ კაცს გამოსძებნის ხოლმე, რომელსაც ვაჟი არა ჰყავს. როდესაც ამ გვარად მოქმედებს ის მიზანი აქვს, რომ გერი ცოტა მზითვით მოიშოროს და მამულის პატრონად თვითონ გახდეს.

ამისთანა მაგალითები სჩნდება ჩვენში ახლა. ერთს მათგანს, რომელიც ღირსია ყურადღებისა, მე მოვიყვან აქ.

ერთს თავადს მოჰკვდომია პირველი ცოლი, რამლისაგან დაშთენია ერთი მცირე წლოვანი ქალი. როდენიმე წელს ქვრივად ყოფილა და შემდგომ განუზრახავს მეორე ცოლის შერთვა იმ დაიმედებით, რომ მას მიეცემა მამრობითის სქესის მემკვიდრე. სურვილი ვაჟის ყოლისა მას ჰქონებია აღძრული მისთვის, რომ, რადგან ოცი მოსახლე დროებით ეალდებული გლეხი ჰყოლია და ქალზე გადასვლას ამ შესანიშნაის, მისის ჭაზრით, მამულისა ცოდვად რაცხდა.

საიდამაც ყოფილა, გასჩენია ერთი ქვრივი დედა-კაცი, რომელსაც თურმე კეთილ შეძენილი ქალ-ვაჟი ჰყოლებია და ჩვენს ქვრივს კი ეს არ სცოდნია. რადგან ეს დედა-კაცი იმ დროს ლამაზ ქალად ითვლებოდა, თავადი დიდის კმაყოფილებით დათანხმდა დაქორწინებაზე. მერ წარმოიდგინა, რომ ეს ქალი, როგორც ახლა თითონაც ანბობსო, მისთვის თანხმდებოდა მასთან შეუღლვაზე, რომ მამული გადაეტანოს თავის სახელზე.

აჰბობენ, რომ ამ საპატიო დედაკაცმა კარგად იცოდა თავის საქმროს ბუნებითი სისუსტეო და ამის გამო შესვლისათანავე ოჯახში გაუგდია თავისი მცირე წლოვანი გერი სამზარეულო სახლში, სადაც არც ქმარს შეუშვებდა მისს სანახავად და არც სხვა ნათესავს. ამასობაში პატარა ქალი ისრე აღზრდილა, რომ მას არა ვითარს ქალის ხელსაქმარზე არ უყურებია და არც უნახავს კაცი, გარდა შინ მოსამსახურეებისა.

ამბობენ, დედის ნაცვალი შეცადინეობდა დაეგლახაკებინოს გერიო, რადგან უფრო ადვილად ჩაიგდებდა მამულს ხელშიო. მაგრამ რადგან ეს ვერ მოუხერხებია, ამისთვის ისეთს წამალს ასმევს თურმე ქმარს, რომელსაც საშინელს აღძრულებაში მოჰყავს და ამდროს რაზედაც სურს, იმაზე დათანხმებს.... შეიწროებული ქმარი, თავის სურვილის დასაკმაყოფილებლად, რაც ცოლს ნებავს, აძლევს: ნახევარი თავისი მამული დაუტკიცებია ცოლის სახელზე; მაგრამ არც ამით თავდება საქმე. ჯერ ვექსილები დაუტყუენია ქალს და ახლა თხოულობს მეშვიდედს და მეოთხედს ნაწილს. ამბობენ, რომ ამ მოთხოვნილების აღსრულებაც სურს ქმარს, მაგრამ საპატიო ცოლი ისრეთს ნაწილს ირჩევს მამულიდამ, რომ არამც თუ მეშვიდედს, ორს წილს ეთანასწორებაო. სუსტი ქმარი ვერც ამაზე უწევს თურმე წინააღმდეგობას. ამბობენ ამასაც, რომ სამოახლო შენობაებიც ვალში უნდა წაიღოს დედაკაცმა და ეხლავ დაასახლოს თვისი კეთილ-შეძენილი ვაჟიო. ესეები არაფერია. ამ დედაკაცს გერს დარჩენია ფული და სხვა და სხვა ნივთები თავისის დედისგან; რომელიღაც მონათესავესაგანაც რგებია ცოტაოდენი ფული და ეს ყველა დედინაცვალს თავისის კეთილ-შეძენილი ქალისათვის უმზითვებია. ზრუნვას თავისის საკუთარის შვილებისთვის, თუ გნებავთ, ნუ დავზრახავთ, მაგრამ ამნაირის საშუალებით...

ერთის მხრით სასაცილოა ამ ქალის მოქმედება, და მეორეს მხრით საზიზღარი; და ვერც ნახავთ ჩვენში ისრეთს პირს, რომელსაც კი გაუგონია ეს ამბავი, რომ არ აძაგებდეს ამ დედაკაცს.

ზრამაგელი

რუსეთი

✱ ოდესსის დამოჟნისაგან გამოცხადებული ანგარიშით ეტყობულობთ, რომ შარშან ოდესსის ნავთსადგურიდამ საზოგადოთ ბევრით უფრო მომეტებული ფქვილი და სხვა მიწის ნაწარმოები გაუტანიათ სამზღვარ გარეთ, ვიდრე 1873 წელსა. მარტო ხორბალი შარშან — 3,714,000 ჩეტვერტი გაუტანიათ და ქონი თითქმის ოთხჯერ უფრო მეტი ვიდრემ შარშანწინ.

✱ ამას წინათ ტაგანროგის საზოგადოებას იქაური გიმნაზიის დირექტორისათვის სადილი გაუმართავს და ამ სადილზე, ერთი სტუმრის წინადადებით, დაუდვიათ, ისეთი საზოგადოება შეეადგინოთო, რომელიც ვალდებული იქნება ყოველგვარი საშუალებით ფულები მოაგროვოს და ამნაირად ჩვენს გიმნაზიაში ღარიბ მოსწავლე ყმაწვილებს ხელი მოუმართოთო. ყველა სტუმრები დიდის სიხარულით დათანხმებულან ამ წინადადებაზე.

✱ ამ წლის 1 ენკენისთვეს ოდესსაში პირუტყვებისა და სამეურნეო საგნების გამოფენა იქნება. გამოფენაზე მხოლოდ ოდესსის უეზდის საუკეთესო პირუტყვებსა და მურნეობის ნაწარმოებს მიიღებენ.

✱ „ოდესსის მოამბის“ სიტყვით, ამ მოკლე ხანში სიმფეროპოლის ოლქის სასამართლოში ერთი ფრიად ყურადღების ღირსი საქმე გაირჩევა; საქმე სკაპცებს შეეხება. ბრალდებულების რიცხვი, როგორც ეს გაზეთი ამბობს, 350 სკაპეცი არისო.

✱ ერთი წელიწადია მას აქეთ, რაც ქ. ვლადიმირში ზოგიერთ კერძო პირებს შკოლა გაუხსნიათ, რომელშიაც მხოლოდ მთხოვარა და უსაქმოდ მაწანწალა ყმაწვილებს და გოგოებს იღებენ. ამჟამად ქალები და ვაჟები ერთად სწავლობენ თურმე და ძალიან გულმოდგინეთ არიან შკოლაში. წერა-კითხვას გარდა, აქ სხვა და სხვა ხელობასაც ასწავლიან, როგორც მაგალითად, ქალებს: კერვას და ქარგვას; ვაჟებს: წაღების კერვას, დურგლობას, ყდის კეთებას და სხვ.

✱ პეტერბურღში დიდი ხანია, რაც მთავრობისაგან გამართულია ერთი ისეთი სახლი, სადაც ყველა ღარიბ ორსულ ქალს მიიღებენ და სანამ არ მორჩება, უვლიან ხოლმე. ამ „მშობიარების სახლთან“ გამართულია აგრეთვე ბებიებისთვის შკოლა. გაზეთებში იწერებიან, რომ წელს რამდენსამე ახალგაზდა ქალს მშვენიერად დაუჭერიათ ეკზამენი ამ შკოლაში და ბებიობის მოწმობა მიუღიათ.

✱ რამდენიმე თვეა, რაც პეტერბურღში ხურება და ცხელება საშინლად გავრცელებულა ასე, რომ დღე არ გავა თურმე, რომ უკანასკნელი 50 კაცი ამ ავათმყოფობით არ მოკვდეს. რასაკვირველია, რომ ეს ავათმყოფობა, როგორც საზოგადოთ ყოველიგვარი უბედურება, ყველაზე უფრო ღარიბ, მუშა ხალხს აძლევს თურმე ზიანს.

✱ „მმართებლობის მოამბეში“ გამოცხადებულის ანგარიშიდამ სჩანს, რომ ამ წლის პირველ იანვარს მთელს რუსეთში 17,422 ვერსის ოდენ რკინის გზა იყო თურმე გაყვანილი.

✱ ქიევის გუბერნიის სოსნიცკის უეზდის ერობას მთავრობისათვის უთხოვნია, ნება-რთვა მოგვეცესო, რომ ჩვენი უეზდის ყველა იმ სოფლებში, სადაც კი შკოლები არისო, გლეხები ვალდებულად გავხადოთო, რომ თავიანთი შვილები უთუოთ გამოგზავნონ ამ შკოლებში სასწავლებლებათაო. ერობას იმედი აქვს, რომ რადგან მმართებლობამ სხვა გუბერნიებში და უეზდებში მისცა ამის ნება, ჩვენც მოგვეცემაო.

✱ იანვრის 12-ს მოსკოვში და რუსეთის ზოგიერთს სხვა ქალაქებში მოსკოვის უნივერსიტეტის 120 წლის იუბილეი უდღესასწაულნიათ. სხვათა შორის, პერმში მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებს სადილი გაუმართავთ და ღარიბი სტუდენტების სტიპენდიისათვის ფულები მოუგროვებიათ. მოსკოვის უნივერსიტეტი რუსეთის ყველა უნივერსიტეტებზე პირველად არის გხსნილი.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი. ახალ სამინისტროს მოთავეს, ბჰიუფჭეს, როგორც აქ მოსული დეპეშა გვაცნობებს, ამ სამინისტროს პროგრამმა წაუკითხავს. დეპეშა ამბობს, რომ ეს პროგრამმა ძლიერ კონსერვატორული არისო. სხვათა შორის, ბჰიუფჭეს გამოუცხადებია, რომ, სანამ ბეჭდვის ახალი კანონები არ გამოვა, მანამ სამხედრო მდგომარეობის წესი საფრანგეთში არ მოისპობაო.

თუმცა საფრანგეთში რესპუბლიკური კონსტიტუცია დაადგინესო, იწერებიან სამზღვარ გარეთის ზოგიერთ გაზეთებში, მაგრამ ეს ქვეყანა ახლა ისეთს მდგომარეობაში არისო და თვითონ ამ კონსტიტუციასაც ისეთი მიმართულება მისცესო, რომ მოსალოდნელი არ არის, საფრანგეთმა დიდის ხნით მოისვენოსო. სანამ ათას ნაირი პარტიები და იმათგან ყველაზედ უსაძაგლესი — ბონაპარტისტების პარტია არ ჩაუჩუმებია მთავრობას, მანამ მშვიდობიანობას არ უნდა მოელოდეს საფრანგეთის ხალხი; და ამ ქვეყნის ამღელვებელი პარტიების დამშვიდებას მხოლოთ ისეთი მთავრობა მოახერხებს, რომელსაც ენერგია, გარკვეული პოლიტიკა და ხალხის სიყვარული ექნება თავისკენაო.

ინგლისი. მარტის 1-ს ლონდონში ყოფილა იმ ირლანდიელების კრება, რომელნიც ცდილობენ, რომ თავიანთი სამშობლო ქვეყანა ინგლისის დამოკიდებულობისაგან გაანთ ავისუფლონ. ამ კრებაზე, ზოგიერთი ორატორების წინადადებით, ერთ ხმათ მიუღიათ გადაწყვეტილება, რომ პარლამენტში წინადადება შეეტანოთო, რომ ირლანდიას განსაკუთრებული პარლამენტი მიენიჭოსო.

საზოგადოთ ირლანდიაში ეხლა ხალხის მოძრაობაა, და ეს მოძრაობა ყველაზე უფრო ირლანდიის პატრიო-

ტის-მიტჩელის ამორჩევამ აღძრა. მკითხველმა იცის, რომ ინგლისის პარლამენტმა ეს ამორჩევა კანონიერად არ იცნო. ახლა იმ მაზრის ამომრჩეველ კამიტეტს, რომელმაც მიტჩელი თავის წარმომადგენელად დანიშნა, მანიფესტი გამოუცია, რომლითაც ის თხოულობს ამომრჩეველებისაგან, რომ მიტჩელი ხელ-ახლად ამოირჩიონ პარლამენტის წევრათ.

ინგლისის გაზეთები დარწუნებით ამბობენ, რომ მიტჩელს ხელ-ახლად ამოირჩევენო; მაგრამ ესეც ცხადიაო, რომ პარლამენტი ხელ-მეორეთ უკანონოთ შერაცხს იმის ამორჩევასაო და ბოლოს კი მაინც ამომრჩეველები იძულებულნი იქნებიან, პარლამენტის გადაწყვეტილებას დაემორჩილონო.

ესპანია. ჯერ ორი თვეც არ შესრულებულა მას აქეთ, რაც ნორჩი დონ-ალფონსი ესპანიის ტახტზე ავიდა, და ახლავე უკმაყოფილება და სამდურავი ისმის იმის მმართებლობაზე. გაზეთებში იწერებიან, რომ დონ-ქარლოსის მომხრეები თან-და-თან ძლიერდებიანო, ამ ხალხთა-შორის ბრძოლის დასასრულს ჯერ კაცი არ მოელისო, ახალს კოროლს ისე მიჰყავს სამხედრო საქმეები, რომ დონ-ქარლოსს თან-და-თან გამარჯვების იმედი ეძლევაო. თვითონ დონ-ალფონსიც ამჟამად ძალიან ავათ არის, ჯარები და ომი ეიღაც ღენერლების ანაბარად მიუტოვებია და მადრიდის სიახლოეს, ერთს სოფელში, წევსო.

ქრონიკა

გაგრატი დიდი

სტატია II

—

ბიორგი მეფის შვილი დავითი და შვილის შვილნი არ იყვნენ ურიგო მეფენი. ისინი ზრუნავდნენ საქართველოს გამაგრებას ციხეების შენებითა. მეფე დავითმა VII-ემ იმეფა 16 წლის განმავლობაში, და ამდროს მუდამ იმაზედ ზრუნავდა, რომ საქართველო გაემაგრებინა ციხე—სიმაგრეებით და ხალხში დაეცვა ერთობა. ამ განზრახვით მოვლიდა ესე დავით მეფე სამეფოსა თვისსა ზემო-ქვემოსა, იმერ-ამერთა და ყოველივეს კეთილად განაგებდა.

მაგრამ 1360 წელს იმან იმერეთი რომ მოიარა და დადგა ბეგუთში სანადიროდ, უეცრად ავად გახდა და მოკვდა, და დასტოვა სახელოვანი შვილი გაგრატი. ის დაასაფლავეს ბელათში.

ქართლის ცხოვრებიდგან სჩანს, რომ ეს მეფე ჭკუიანი კაცი იყო, რიგიანად უვლიდა სამეფოს, აშენებდა აოხრებულს წარსულ ჟამთა ვითარებისაგან სოფლებს, დაბებს და ეკკლესიებს, და ასრე შემოჰქონდა ხალხში სამოქალაქო ცხოვრების წესი; ხალხს უნერგავდა გულში ერთობის სურვილს და სარგებლობას.

ამ მეფის შემდეგი მეფის გაგრატის დროს ძრიელ კარგათ ამტკიცებს, რომ საქართველოს ერში ერთობის საჭიროება ძლიერ გავრცელებული იყო. მჭვი არ არის, რომ თუ გაგრატს დასცლოდა მშვიდობით ძეფობა, საქართველო ისრე გაძლიერდებოდა, რომ მის ძლევას მტერი შემდეგში ველარ მოახერხებდა. მონგოლების გარეკის შემდეგ ხალხმა ცოტათი მოისვენა და წელში გაიმართა, მოიგონა მამაპაპათა წარსული დიდება და ძლიერება; დაიწყო ცხოვრების გაღვიძება და გაჩაღება ამ დიდი მეფის გაგრატი მე-V-ს ხელში; მაგრამ ვაი ჟამთა ვითარებასა! იმას უეცრად შეემთხვა დიდი უბედურება.

იმ წელს, როცა გაგრატი დიდი გამეფდა (1360 წ.), აღმოსავლეთში გამოჩნდა ჩინებული მეომარი კაცი წოდებული ლენგ-თემურად. ეს იყო შთამომავლობით მონგოლი და ნათესავი ჩინგის ყაენისა. ამის მოქმედებას რომ დავაკვირდეთ, ვცნობთ, რომ ის ჩინგის ყაენზე ნიჭიერი არ იყო; მაგრამ მხნეობით და სტრატეგიის ცოცდნით იმას ჰსჯობდა, მაგრამ იყო კაცი უწყალო და მძინვარე. ჩინგიზ ყაენი კი უფრო ძლიერი და სიბრძნე—გონიერებით შემკული იყო.

ამ კაცმა დაიპყრო თურქისტანი, ინდოეთი, სპარსეთი და მერმე აურაცხელის ჯარებით მოაწვა საქართველოს. რადგან ამას მიეღო მახმადის რჯული, ამისათვის მოისურვა დაპყრობა საქრისტიანო საქართველოსი და მცხოვრებლების გამახმადიანობა. ის შემოვიდა სამცხე-საათაბაგოში, ათაბაგმა უვარყვარემ იმას ვერ გაუბედა შებმა და უოსმოთ დაემორჩილა. ჰსცნა-რა საქმე ესე მეფემან გაგრატ, მწუხარე იქმნა ფრიად, და ეძებდა ღონესა რასმე საქმისასა: რამეთუ ვერ ძალედვა წინააღდგომა ნისი. ამისათვის იმან შეკრიბა საქართველოს დიდებულნი, ეპისკოპოზნი, მღვდელნი, მოიანგარიშა და მერმე ძლიერ გაამაგრა თფილისის ციხე, შეაგროვა შიგ სურსათი, შეიყვანა შიგ მრავალი ჯოგი და ცხვარი, შეიხიზნა და გამაგრდა. გაგრატს თანა ჰყვანდა საქართველოს რჩეულნი ჭაბუკნი, მაგრამ ზოგიერთნი თავადნი და ერისთავნი არ შეიყვანა თან და უბრძანა, რომ ხალხი შეეხიზნათ მთებში. ამათ გააყოლა თავისი ჩინებული შვილი გიორგიცა.

ამგვარად გაწყობის შემდეგ ლენგ-თემური მოადგა თფილისის ციხეს და მოიცვა გარემონი. გაგრატი თვალ-გამჭრიახად უჭვრეტდა ციხიდგან მტრის მოძრაობას და მოქმედებას და განიგულებდა ციხიდგან იმისთვის გახდომას. ამისათვის იმან მოახდინა უზენაესი კრება და უთხრა ქართველებს: ფრიად უმჯობეს არის და სანატრელ სიკვდილი მამულისათვის, ვიდრე-ღა მოარჩილებასა და იძულებით შეპყრობასა მძლავრისა—მის მიერ და მიიშვირა მტერზე თითი. ამ სიტყვებმა ქართველობა აღტაცებაში მოიყვანა და გადასწყვიტა მტრისთვის თავს დასხმა.

ამის შემდეგ ქართველებმა ჩაიცვეს რკინის პერანგები, დაიხურეს მუზარადები, შემოირტყეს თვისი კუდაბზეკილი ხმლები და ბასრი ხანჯალები, მარდათ მოასხდნენ შერახტილს ცხენებს და, ვიტყვი „ქარ. ცხოვ.“ სიტყვებით, ვითარცა გავაზი ბუნდსა წეროთასა, და ვითარცა ლომი მროწეულსა ზროხათასა შეუტივეს თემურლენგის ბანაკს. ასტყდა ძლიერი ბრძოლა, ქართველებმა შელეწეს მტრის ჯარების გუნდები, მრავალი ამოსწყვიტეს, მაგრამ სიმრავლის გამო მაინც ვერ აოტეს მისი ბანაკი. თემურლენგი გაჭკვირდა ქართველების ვაჟკაცობაზე და განიგმირებოდა იმისი გული მეტის ზიზღით; მაგრამ მაინც ვერ ახერხებდა ციხის აღებას. მეფე გაგრატი არ ნებდებოდა იმას და წამ-და უწამ გამოუხდებოდა ხოლმე ციხიდგან და უჭლეტავდა ჯარს. ქართველებისთვის ციხის წართმევა ძალიან გაჭირდა და უეჭველია, რომ ვაჟკაცობით თათარნი ქართველებს ვერას დააკლებდნენ, თუ ციხესთან მისასვლელად ხერხი არ ეხმარად. ლენგთემურმა გააკეთებინა ჩელტები, რკინით შემზადებული: თათრებმა ეს აიფარეს წინ და მიუახლოვდნენ ციხეს. ამისა გამო ქართველებმა ველარ იმოქმედეს; წინანდებულად თავის ცხენებით მეჯირითეებსავით ველარ შედიოდნენ იმათ დასტებში და, ქართველებთან ომში მშიშარა მტერს, ვერ უპობდნენ ხმლითა და ხანჯლით საზიზღარს მკერდსა. ამისათვის ქართველები დამარცხდნენ: მტერმა ციხეც აიღო და მეფეც და დიდებულნიც შეიპყრა, მაგრამ, ვაჟკაცობის ქველობისათვის, მძლავრმა მტერმა მეფეს არაფერი აენო.

რითი გათავდა მეფის დატყვევება, ამას მე შემდეგ წერილებში ვიტყვი და ამას კი დავასრულებ მით, რომ ამ ქართველებს მამულის ბედი, ჭირი და ლხენა შვილსავით კალთით უტარებიათ და ამისათვის შთამამავლობაში კეთილიმც იყოს მათი ხსენება უკუნითი უკუნისამდე.

ინგილო ჯანაშვილი

საბაასო

უ. ქსნელს გიგაუროვს

—

დროების № 1-ში წერილით 1875 წლის 24 დეკემბრიდგან ქსნელი გიგაუროვი აშკარად მაბრალებს მე თავისი რვა წლის ვაჟი-შვილის სიკვდილსა. ბრალდება საშინელია. იქის უკუგდებას ჩემგან ამ პასუხის-წერილით ვიწყობ. ჭეშმარიტების აღსადგენელად სხვა საშუალების ჩემგან ხმარება ჯერ გარემოებათა და დროზე იქნება დამოკიდებული.

მღვდელი გიგაუროვი მე იმს მაბრალებს, რომ, როდისაც მე იმის შვილს წამლობა დავუწყე, რა ავათყოფობაც იყო, ვერ გავიგე, ეითომ უთუოდ მოარჩენას დავპირდი და ეითომ განვაგდე იმისი წინადადება, რომ ექიმები რჩევისათვის მომეპატიჟნა, და ამ ბრალდების თითქოდასამტკიცებლად უ. გიგაუროვი ამბობს: „დავსტოვე ბახუტოვი—და მივმართე დოხტორს—ბენინგერს.“ ამან როგორც ნახა, მაშინვე მითხრა, რომ ეხლა ძნელია „ამისი მოარჩენა. უ. ბახუტოვი თავის დროზე ვერ ცდილა, და ეხლა დიდი საცადი მმართებს, რომ მოვარჩინოთ. „მოჰკიდა ხელი, მაგრამ გვიანღა იყო: მე უბედურს ფრინველივით გამისლტა ხელიდამ 24-ს ამ თვეს, და „ამ ნაირათ ჩვენში განთქმულმა მკურნალმა გამითენა სასიხარულო შობის დღე....“

საქმე კი აი როგორ იყო. 14 თუ 15 დეკემბრისას მღვდელმა გიგაუროვმა თავის ავათ ყოფა შვილთან მიმიწვია და ავათმყოფობის გარემოება დაახლოებით ამ სიტყვებით შემატყობინა: ჩემ შვილს აგერ სამი კვირაა აციებს; ამ უკანასკნელ ხანებში კი სიცხე აღარა ნელდება, დასუსტდა, არეულათა ლაპარაკობს, თითქმის დაყრუედა და სულ ეძინება; შინაურულათა ეწამლობდით და, მგონია, ქინაქინაც ჭარბათ მიეეცით. ჩემის გაშინჯვით ავათმყოფს შევატყვე: საშინელი ულონობა, სიცხე და აშკარად სიცხის ავარდნა თავის ტვინში. შინაურებს კი უთხარი, რომ ცუდი ხასიათი მიულია მეთქი, აქამდინ ავათმყოფი შინაური წამლობისათვის არ უნდა მიგვენებინათ; ახლა კი სისხლი ავარდნია თავში და ამ უკანასკნელში მდგომარეობს მთელი ავათმყოფობა მეთქი; სმენის დაკარგვა შეიძლება ქინაქინისაგანაც იყოს, მაგრამ უფრო სისხლის თავში ავარდნისაგან უნდა იყოს მეთქი, როგორც ძილიანობა და არეული ლაპარაკი. მეორე დღეს თუმცა სრულიად დავრწმუნდი, რომ თავის ტვინის პკეში იყო ანთება, მაგრამ საჭიროდ აღარ შევრაცხე, რაც წინა დღესა ვსთქვი, იმაზე ამ გვარი ანთების ყოველივე პატალოგიური ცვლილების ახსნა დამემატებინა.

ავათმყოფის ხშირად ნახვა ისე შორსა (ბორაზე, ჩემი სახლიდგან ორ ვერსტზე მეტი იქნება), ცუდ გზაში და აცდრიანობაში რადგანაც არ შემეძლო, მეორეს ნახვაზე გიგაუროვსა ესთხოვე (დილა იყო) იმ ფერშალის პირით, რომელიც ავათმყოფს თავს ადგა, ამბავი საღამოზე შეეტყობინებინა ჩემთვის. გიგაუროვმა ეს ჩემი თხოვნა შეასრულა მხოლოდ მეორე დღეს საღამოს ცხრა საათზე, როცა ყმაწვილი უარესად შეიქნა. მაშინათვე წვიმაში, ლაფში, საშინელს სიბნელეში საშიშო გზას დაეადექი და ენახე ავათმყოფი, 36 საათს შემდეგ უკანასკნელის ნახვისა. ჩემს კითხვაზე გიგაუროვმა მიპასუხა ყმაწვილი უკეთ შეიქნაო და იმიტომ აღარაფერი შეგატყობიეთ რაო. ამაზე, გამოვტყდები, კვახედ მიუგეგრე მალე და ეგრე ადვილად მაგ ავათმყოფობაში ვერ შეიქნებოდა უკეთა მეთქი! ნუ თუ ამ სიტყვებში ისმინა, რომ ავათმყოფის უთუოდ მოარჩენა ვიკისრე? არც ერთხელ არ მითქვამს არც თვითონ გიგაუროვისათვის, არც სხვა ვისთვისმე იმის სახლობაში, რომ ავათმყოფი უთუოთ იცოცხლებდა და კარგათ შეიქნებოდა, რათგანაც ამ გვარი დაპირება ჩემის მხრით ყოველად გამართლებული წინ დაუხედაობა იქნებოდა, რაკი ვიცოდი, თავის ტვინში ანთება საზოგადოთა და განსაკუთრებით ისეთს დასუსტებულს გვამში უფრო ხშირად ძალიან საშიში სნეულება არის. უ. გიგაუროვმა მართლა ორჯერა მკითხა, რჩევის შესარდგენად, თუ საჭიროა, მოიწვიე სხვა ვინმე ექი-

მიო (და არა ექიმები), მაგრამ მე ორჯერვე მივუგე: სენის შესატყობათა და საექიმოთ ვისიმე მოწვევას მე არა ერაცხ საჭიროთა მეთქი, რათგანაც მე დარწმუნებული ვიყავი, რა სენიც იყო შეტყობილი მქონდა და წამლობაც წესიერი იყო დაჭერილი; მაგრამა, თუ თქვენა გსურთ, ვინც გინდათ, მოიწვიეთ მე ძაგისი წინააღმდეგი არ ვარ მეთქი.. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ სიტყვებში ვერავინ ვერა ჰპოებდა ჩემგან ვარის ყოფასა ბიგაუროვის წინადადებაზე; უარის ყოფათ არც თვითონ ბიგაუროვმა მიიღო ჩემი პასუხი; ამას ის ამტკიცებს, რომა ბიგაუროვმა, როგორც თვითონ მითხრა, უ. იუნნოვიჩი მოეწვია. მაგრამა იუნნოვიჩს მე ავათმყოფთან არ შეეხვედრიეარ. შემდეგ ამისა, მე ვიარე კიდევ ავათმყოფთან დეკემბრის 20 მდინ, როდესაც, როგორც თვითონ მითხრეს, იუნნოვიჩი მოეწვიათ ავათმყოფთან. 23 ს დეკემბისას, როგორც შეტყობილი მაქვს, ავათმყოფი გარდაცვლილიყო.

ბიგაუროვს თავის წიგნში დამტკიცებად იუნნოვიჩის სიტყვები მოჰყავს, რომლითაც გადაწყვეტილად მბრალდება უყურადღებობა და ჩემი საქმის უცოდინარობა. ნუ თუ ეს სიტყვები მართლა იუნნოვიჩის ნათქვამნი არიან, ვიფიქრე მე? მაგრამ მთელი წიგნის მართლიანობა რომ წარმოვიდგინე, ავათმყოფის მდგომარეობაშა და ჩემგან გამოწერილი წამლების ნიშნები, რომელნიც არ შეეძლო არ ენახა იუნნოვიჩსა, სრულიად დავრწმუნდი, რომ იუნნოვიჩი ამას არ იტყოდი, რომ იმას ამგვარი არა უთქვამს რა. იუნნოვიჩმა, რომელსაც ვთხოვე ამისი ახსნა, მიპასუხა სრულიადი უარის ყოფა წიგნით, რომელსაც წარვადგენ სადაც საჭიროება მოითხოვს. შემდეგ ამისა, ვგონებ, რომა უ. იუნნოვიჩმა ნება არ მისცეს ბიგაუროვსა, ისე კანონიერად იხმაროს იმისი სახელი და სიტყვები, დაბეჭდით მოსთხოვოს უ. ბიგაუროვსა ამისი ანგარიში. ზემო მოყვანილ მრავალ წერთილებს შემდეგ, ბიგაუროვი ამ გვარის აზრებით იხარჯება:

„ეს მაგალითი სრული ყურადღების ღირსია და გვიჩვენებს, თუ ზოგიერთი ჩვენი ექიმები, როგორის გულმოდგინებითა და საქმის ცოდნით ეკიდებიან ადამიანის სიცოცხლესა. ყურადღების ღირსია მით უფრო, რომ მაგალითი კერძო და განცალკებული შემთხვევა არ არის და უმატებს, რომ იმას, ვითარცა გულ მოკლულს მამას, რომელსაც ექიმის დაუდეგრობით ან იქნება უმეცრებით დაეკარგა შვილი. ძალიან კარგათ ესმის და თანაუგრძნობს კიდეცა გერმანიელების აზრსა, ყოველის განსვენებულის კუბოზედ დიდის ასოებით დაწერონ იმ მკურნალის სახელი და გვარი, რომელიც მას წამლობდა.“

ამას რა პასუხი გავცე!

განუმარტებლად, იმედი მაქვს, ყველასათვის ცხადი იყოს, რამოდენად შემაძრწუნებელია ბიგაუროვის ქცევა! შემაძრწუნებელი არის ამაში ჯერ ის ღრმა ხეტი უმეცრება არის მრავალთა, რომელთანაც ექიმებს შეხვედება ხოლმე საქმის დაჭერა და რომლის წარმომადგენელად შეიძლება შეირაცხოს მ. ბიგაუროვი თავის წიგნში. იშვიათია, რომ ავთმყოფი სნეულების პირველს ხანებშივე ექიმის ხელში ჩავარდეს; უმეტესი ნაწილი ამათში პირველად შინაური წამლობას გამოსცდის, ზოგი კი თუთხვნისა და კურსს გამოიელის და მხოლოდ მაშინ, როდესაც სული დახორცი ერთმანეთის მოშორებას დააპირებენ, მოიწვევენ ექიმსა; რომელიც უფრო ხშირად ავათმყოფის ლოგინსა ყოველად უმედოვნებისაგან დაძლეული მოშორდება ხოლმე. ეს უმეცრება უფრო იმითი არის შემაძრწუნებელი, რომ იმითი იქელება არამცთუ მარტო პატიოსნება ცოცხალი კაცისა, რომელსაც იმის დაფარვა და შემაგრება შეუძლიან, იქელება თვით სიცოცხლეცა კაცისა, რომელსაც პასუხის გაცემა აღარ შეუძლიან! ისე არევ-დარევით რათ მიამბობდენ ავათმყოფის ცელილებაებს, რომ თითქმის ბაასიც ასტყდებოდა ხოლმე შინაურებს შუა? თუ ერთხელვე ექიმი მოიწვია ბიგაუროვმა, რა იყო მიზეზი, რომ 36 საათი უექიმოთ დასტოვა იმისთანა ავათმყოფი? რა იყო მიზეზი, რომ მ. ბიგაუროვმა მთელი სამი კვირე ავათმყოფი შინაური წამლობის სამარა დასტოვა? უმეცრება და დაუდაგნელობა, დაუდაგნელობა და უმეცრება!

შემდეგ ამისა, ბიგაუროვისაგან ჭეშმარიტების დამალვა და იმისი ფანტაზიით ფრენა საძაგელია და ყოველად ულირსი. ბოლოს არ შემიძლიან არ მოვახსენო, როგორც ექიმმა, რამდენიმე გამოსალმების სიტყვა ბიგაუროვს და მისს კამპ. დიახ, უ. უ. ბიგაუროვ და კამპ., ყურადღების ღირსია, რომ თქვენ თავის დროზე ავათმყოფის თვის არა ცდილობთ და მხოლოთ მაშინ მიიწვევთ ექიმსა, როდესაც ახირებული სისუტე ავათმყოფს სიკვდილს ემუქრება.

უუ. ბიგაურონო და კამპ. აღირსეთ თქვენი ყურადღება იმასა, რომა მანამ ჩერჩეტულად შესწამებდეთ ექიმს უმეცრებასა და დაუდევნელობასა, თვით არა უნდა იყოთ დაუდევნელნი, და გონიერად უნდა უყლიდეთ თქვენ თავსა და თქვენ შვილებსა, აჭმევდეთ, აცმევდეთ და ზრდიდეთ სალათა.

და ბოლოს, ბიგაურონო და კამპ., ეცადეთ, ერთობ საჭიროა, ცოტა ოდნათ მაინც გაიგოთ და თანაუგრძნობდეთ უფრო იმ გერმანიელების აზრებს, რომლებსაც პირდაპირი მნიშვნელობა აქვსთ თქვენს სიცოცხლეში, მანამ ჭირისუფლობის ადათებს: ბევრით უფრო სიჭკვიანე და რიგიანობა იქნებოდა, თქვენს თავს და თქვენს შვილებს გერმანიელებსაითა ზრდიდეთ, მანამ იმათ განსვენებულების საფლავების წაწერილობაებს ნატრობდეთ.

ქუთაისი ალექსანდრე ბახუტოვი

28 თებერვალი

ნარევი

წასულ თებერვლის 8-ს ლონდონში მიცვალებულა გამოჩენილი გეოლოგოსი ჩარლს ლაიელი, რომელიც მეცნიერებაში იმით იყო შესანიშნავი, რომ გეოლოგია (დედა-მიწის ისტორია) სრულებით ახალს გზაზე დააყენა. 1868 წელს იმან გამოსცა შესანიშნავი თხზულება — „ბეოლოგიური დამტკიცება კაცის სიძველისა“, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ უკანასკნელ ასი ათასს წელიწადს მაინც გაუვლია მას აქეთ, რაც კაცი გაჩენილაო; და სხვათა შორის იმასაც ამბობდა, რომ კაცის მოდგმა, უეჭველია, მაიმუნების შთამამავლობისა უნდა იყოსო.

* * *

ერთი ნემეცური სტატისტიკოსის ანგარიშით, 1874 წლის განმავლობაში ბერმანიაში 12,000 წიგნი დაბეჭდილა.

* * *

ოც-და-ხუთის წლის წინათ, სანამ ნაპოლეონი საფრანგეთის იმპერატორად, ანუ უკეთ ვსთქვათ, სანამ იმის მეუღლე ევგენია იმპერატრიცად შეიქნებოდა, ერთი გირვანქა ქალის თმა საფრანგეთში ერთს მანეთზე მეტად არ ღირდა. მაგრამ მას აქეთ, რაც ევგენიამ შინიონები მოდაში შემოიღო, თმის ფასმა აიწია, ჯერ ორ მანეთად შეიქნა, მერე ოთხად და ახლა ქალის კარგ თმაში, გირვანქაში თუთხმეტ-თექვსმეტ მანეთს ძღლევენ. ყველაზე უკეთესი ... ...